პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

21 ივლისი, ხუთშაბათი, 1988 წ.
№ 140 (9807) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## საქართველოს ჭაბუკ ფალავანთა წარმატება

### მერაბ ვალიევის ორი ჯილდო

შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა 17 წლის თბილისელმა ფალავანმა მერაბ ვალიევმა: კანადის ქალაქ სენტ-ჯონსში გამართულ ახალგაზრდა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა (1968–1969 წ.წ. დაბ.) მსოფლიოს თასის გათამაშებაზე მან მძიმე წონაში ყველა მეტოქე დაამარცხა და პირველი ადგილი დაიკავა. მეორე გამარჯვებას ვალიევმა ჩვენი ქვეყნის ნაკრებთან ერთად გუნდურ პირველობაში მიაღწია. ისიც აღსანიშნავია, რომ მერაბ ვალიევი 1970 წელს არის დაბადებული და თავისზე უფროს მეტოქეებს ერკინებოდა.

ახალგაზრდა ფალავანი სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" წარმომადგენელია, სწავლობს საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში. მისი მწვრთნელებია შოთა კოტორაშვილი და ვანო ნიკოლაძე.

### გიორგი ხიხნიკაშვილის ვერცხლის მედალი

გორელმა გიორგი ხიხნიკაშვილმა ვერცხლის მედალი მოიპოვა თავისუფალი სტილის ჭაბუკ მოჭიდავეთა მსოფლიო პირველობაზე, რომელიც ავსტრიის ქალაქ ვოლფურტში ჩატარდა. ხიხნიკაშვილი (პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება), რომელიც 63 კგ წონით კატეგორიაში გამოდიოდა, ფინალში დამარცხდა კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელ სონგ უ კიმთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრობის მერიდიანი

## ზაარბრუკენელი ტანმოვარჯიშეები თბილისში

თბილისისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ზაარბრიუკენის დაძმობილების და ნაყოფიერი კულტურული ურთიერთობის ამბავი საყოველთაოდაა ცნობილი. პარტნიორობისა და დელეგაციების ხშირი გაცვლის პროგრამა, ცხადია, სპორტული კონტაქტების გაღრმავებასაც გულისხმობს — სპორტი ხომ მშვიდობისა და მეგობრობის ნაცადი დესპანია.

და აი, თბილისს ეწვივნენ ზაარბრიუკენის სპორტული კლუბის ტანმოვარჯიშეები. დღეს გაიმართება მათი და გ. დიმიტროვის სახელობის თბილისის საავიაციო საწარმოო გაერთიანების ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული ტანვარჯიშის სკოლის აღსაზრდელთა ერთობლივი გამოსვლა.

ტანმოვარჯიშეებს ამ გაერთიანების სპორტული დარბაზი უმასპინძლებს. დასაწყისი 18 საათზე.

ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშები

## ნახევარფინალში გავიდნენ

ჭაბუკთა II საკავშირო თამაშების საფეხბურთო ტურნირში კვლავ წარმატებით ითამაშეს საქართველოს ჭაბუკებმა. 19 ივლისს მეოთხედფინალში ისინი აზერბაიჯანის ძლიერ გუნდს შეხვდნენ, გამარჯვებული ნახევარფინალის საგზურს ლებულობდა.

ჩვენმა ჭაბუკებმა კარგად ითამაშეს და ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს. ბურთები გაიტანეს კვანტალიანმა და ლოკოტკოვმა.

დღეს საქართველოს ფეხბურთელები ნახევარფინალში შეხვდებიან მოლდავეთის ნაკრებს. მეორე ნახევარფინალში ითამაშებენ რსფსრ-ისა და სომხეთის გუნდები.



## მუშკეტერებო, ბილიკზე!

ჩვენს რესპუბლიკაში ფარიკაობა თითქოს თავის თავში ჩაიკეტა, აღარ აქვს ძველებური ავტორიტეტი და პოპულარობა. ეს ალბათ იმის ბრალიც არის, რომ საქართველოში იშვიათად ტარდება მნიშვნელოვანი ტურნირები, რაც გააღვივებდა ინტერესს სპორტის ამ სახეობისადმი. უკანასკნელი საყურადღებო ტურნირი — საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება — ჩვენში 1984 წელს ჩატარდა (ქუთაისი).

როგორც უკვე გაცნობეთ, 24 ივლისიდან 1 აგვისტომდე თბილისი უმასპინძლებს საკავშირო უნივერსიადის მოფარიკავეთა ტურნირს. სტუდენტ მუშკეტერთა შორის ბევრი ცნობილი სპორტსმენია და ასპარეზობის დონე მაღალი უნდა იყოს. ეს არ იქნება მარტო „სხვისი ზეიმი" — საქართველოს სპორტსმენებს, განსაკუთრებით ხმლით მოფარიკავეებს, სრული საფუძველი აქვთ, წარმატებაზე იფიქრონ.

შეჯიბრება ჩატარდება „ბურევესტნიკის" სპორტულ კომპლექსში.

დასაწყისი 10 საათზე.

ტელეტაიპი – მკითხველს

პარიზი. „ტურ დე ფრანსის" მე-17 ეტაპი ჰოლანდიელმა ველოსიპედისტმა ჟან-პოლ ვან პოპელმა მოიგო. მან 210 კილომეტრი 4:58.03-ში დაფარა. რბოლას დამაჯერებლად ლიდერობს ესპანელი პედრო დელგადო, რომელიც უახლოეს მეტოქეს — ჰოლანდიელ სტივენ როოკსას 4 წუთსა და 06 წამს უგებს.

პეკინი. ჩინეთისა და კანადის კალათბურთელმა ვაჟებმა, რომლებსაც ოლიმპიური საგზურები მოპოვებული აქვთ, ერთმანეთში ორი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარეს. პირველი მასპინძლებმა მოიგეს — 98:87, მეორე — სტუმრებმა 93:90.

სტამბოლი. მრგვალ სტენდზე სროლაში ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი სვეტლანა დიომინამ მოიპოვა. მან 200 სამიზნედან 196 დააზიანა. საბჭოთა მსროლელმა ქალებმა გუნდურ გამარჯვებასაც მიაღწიეს. ვაჟებში ჩემპიონი გახდა ფრანგი ჟან-ფრანსუა დელაკი (225-დან—223). გუნდური პირველობა ჩეხოსლოვაკიელ მსროლელებს ხვდათ წილად.

ელვა-ინფორმაცია

### ლიდერობს ქეთევან კახიანი

ივანო-ფრანკოვსკში გრძელდება სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა 48-ე ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი, რომელმაც ფინალური შეჯიბრების 3 მონაწილე უნდა გამოავლინოს. X ტურში კიდევ ერთ გამარჯვებას მიაღწია გარდაბნელმა ოსტატმა ქეთევან კახიანმა (დაამარცხა რიგელი ნატალია ერიომინა) და სათავეში მოექცა სატურნირო ცხრილს. მისმა უახლოესმა მეტოქემ, ალმაათელმა საერთაშორისო ოსტატმა ფლორა უსკოვამ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ბაქოელ ოსტატ ფირუზა ველიხანლისთან და 7,5 ქულა აქვს. 6,5 ქულით III ადგილზეა კიშინიოველი მარინა შერემეტიევა.

• ▲ •

ცხენოსნობაში ქვეყნის პირად ჩემპიონატში გუდაუთელმა მხედარმა ხარლამ ხიმონიამ წარმატებით ჩააბარა პირველი გამოცდა — უჯარიმოდ გაიარა მარშრუტი.

სად დავისვენოთ, სად ვივარჯიშოთ, სად ვიასპარეზოთ

## შაბათს და კვირას

მიაქციეთ ყურადღება, თუ თქვენ სურვილი გაქვთ შაბათს და კვირას აქტიურად დაისვენოთ ოჯახის წევრებთან ან მეგობრებთან ერთად. თბილისელებს შეგიძლიათ მონაწილეობა მიიღოთ დედაქალაქის სპორტკომიტეტის მიერ საგანგებოდ თქვენთვის დაგეგმილ სპორტულ და გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში. კიკვიძის სახელობის პარკში შეგიძლიათ ითამაშოთ ჩოგბურთი და მაგიდის ჩოგბურთი (დასაწყისი 10 საათზე), მინიფეხბურთი (11 ს). ფეხბურთის თამაშის მოყვარულებს შეგიძლიათ აგრეთვე მიაკითხოთ სულხან საბა ორბელიანის ქუჩაზე (20 ს.) და ზემო ვაკის (10 ს.) საფეხბურთო მოედნებზე.

წოდორეთში შეგიძლიათ შეუერთდეთ 26 კომისრის რაიონის შრომითი კოლექტივების წარმომადგენლების ტურისტული ლაშქრობის მონაწილეებს.

სოხუმიდან დეპეშით გვაცნობეს, რომ 23 და 24 ივლისს ჯანმრთელობის პროგრამით ჩატარდება შეჯიბრებები ფრენბურთში.

სპორტული ორგანიზაციების საყურადღებოდ! რუბრიკით „სად ვივარჯიშოთ, სად დავისვენოთ, სად ვიასპარეზოთ" „ლელო" აქვეყნებს მხოლოდ იმ ღონისძიებებს, რომელიც გათვალისწინებულია მოსახლეობის ფართო მასებისათვის და არა კალენდარულ სპორტულ შეჯიბრებებს.

ცნობები შაბათ-კვირის ღონისძიებების შესახებ მოგვაწოდეთ ოთხშაბათობით, 13 საათამდე.

## ინსტიტუტს ექნება ახალი სპორტული ბაზა







პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტს სულ მალე ახალი და კეთილმოწყობილი სპორტული ობიექტი შეემატება. ეს ბაზა ინდივიდუალური პროექტით თვით ამ უმაღლესი სასწავლებლის ეზოში შენდება. სპორტულ ობიექტს ექნება დამხმარე სათავსოები. მშენებლობას აწარმოებს საქართველოს სპორტსახკომის ტრესტ სპორტრემმშენის (მმართველი თენგიზ აბუსერიძე) პირველი სარემონტო-სამშენებლო კანტორა (უფროსი ნოდარ პირველი). მშენებლები პირობას იძლევიან, რომ საქმეს წელსვე, ახალი სასწავლო წლისათვის მორჩებიან— ამ დღეებში ისინი სამცვლიან გრაფიკზე გადავიდნენ.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.



### სიახლეთა ესტაფეტა

საინტერესო ექსპერიმენტს ატარებს შვეციის საფეხბურთო კლუბი „ლადსკრონა", რომელიც ქვეყნის ჩემპიონატში მეორე ლიგაში გამოდის. გულშემატკივრები უბილეთოდ შედიან სტადიონზე. სამაგიეროდ მატჩის შემდეგ ისინი გასასვლელთან იხდიან იმდენ ფულს, რამდენიც, მათი აზრით, ეს თამაში ღირდა. ბევრ ექსპერტს ეს მიაჩნია საკითხის სამართლიან, სავსებით ობიექტურ გადაწყვეტად.

რედაქციისაგან: სიახლე საყურადღებოა, ჩვენც ხომ არ ჩაგვეტარებინა ასეთი ექსპერიმენტი რესპუბლიკის რომელიმე გუნდში; თუნდაც საქართველოს პირველობაზე? როგორია თქვენი აზრი? მოგვწერეთ!

ჩვენი ეროვნული საუნჯე

# ვცდილობთ დავნერგოთ

**სპორტის ეროვნული სახეობები და ხალხური თამაშები, ისევე როგორც ეროვნული ყოფისა და კულტურის სხვა ელემენტები, ხელს უწყობს პატრიოტულ-ინტერნაციონალურ აღზრდას. ფიზიკური აღზრდის ხალხური საშუალებების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დანერგვის მნიშვნელობაზეა საუბარი ამ წერილში.**

**სპორტის** ეროვნული სახეობებისა და ფიზიკური აღზრდის ხალხური საშუალებების უდიდეს მნიშვნელობაზე, ვფიქრობთ, დღეს ზედმეტია ლაპარაკი. მიუხედავად ამისა, ეს უმდიდრესი საგანძური სათანადოდ ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული. მეტიც, ჟურნალ-გაზეთებში ზოგჯერ ქვეყნდებოდა წერილები, რომელთა ავტორებიც ამტკიცებდნენ, თითქოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ხალხურ-ეროვნული საშუალებები მოძველდა და ისინი ვერ შეედრებიან თანამედროვე, კლასიკურ სახეობებს. ასე განსაჯეთ, პრიმიტიულობასაც კი სწამებდნენ ამ საშუალებებს, თანამედროვე საბჭოურ ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში მათი გამოყენების შესახებ ამბობდნენ ეს უკან გადადგმული ნაბიჯიაო და ა. შ. ერთ-ერთი წერილის ავტორს აეჭვებდა კიდეც ფიზიკური აღზრდის ხალხურ საშუალებათა შემდგომი განვითარების პერსპექტივები და სრულყოფის შესაძლებლობანი.

უახლოეს ხანში საბჭოთა კავშირის სპორტსახკომის კოლეგიის სხდომაზე გაიმართება მსჯელობა ეროვნული სპორტისა და ხალხური თამაშების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ. ამით პრობლემის აქტუალობა კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება. შეიძლება ითქვას, ფაქტობრივად, საქმე გვაქვს ამ პრობლემის გადაწყვეტის ახალ ეტაპთან.

ჩვენს მიერ უკვე არაერთხელ იყო გამოთქმული აზრი, რომ მოძრავი თამაშები ფიზიკურ ვარჯიშებთან ერთად ფიზიკური აღზრდის ძირითად საშუალებებად უნდა მივიჩნიოთ („ლელო“, 21. VI. 1986; „ტეორია ი პრაქტიკა ფიზიჩესკოი კულტური“, № 10, 1986). ჩვენ შევეცადეთ გავრკვეულიყავით მოძრავი თამაშების არსში, მათს თავისებურებებში. ყურადღება მივაქციეთ იმას, რომ აღზრდის ამ საუკეთესო საშუალებამ ჯერ კიდევ ვერ პოვა თავისი კუთვნილი ადგილი ფიზიკური კულტურის სისტემაში, განსაკუთრებით, სასკოლო ფიზიკურ აღზრდაში — როგორც გაკვეთილებზე, ისე კლასგარეშე მუშაობაში.

ფიზიკური აღზრდის ქართული ხალხური საშუალებების შესწავლის პერიოდში გავითვალისწინეთ გ. კახიძის მიერ ყაზბეგის რაიონში მოკვლეული მასალა. გარდა ამისა, ჯერ კიდევ შარშან ჩავატარეთ წინასწარი ცდები რუსულ სკოლებში ქართული, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, ოსური და სხვა ხალხური მოძრავი თამაშების დასანერგად. ამასთან, ჩვენი მიზანი იყო გამოგვეკვლია, როგორ აითვისებდნენ არაქართველი ბავშვები ქართულ და სხვა ხალხთა მოძრავ თამაშებს.

თბილისის 64-ე საშუალო სკოლაში მასწავლებელი ს. ოსიპოვა კმაყოფილებით შეხვდა ჩვენს წინადადებას და თავის მხრივ დაუმატა, რომ თვითონაც იყენებდა ხალხურ თამაშებს. მისი თქმით, ბავშვები ამ თამაშებს დიდი ხალისით ითვისებენ. ყოველი თამაშის შესწავლის წინ მასწავლებელი ბავშვებს ესაუბრება თამაშის წარმოშობის ისტორიაზე, შინაარსსა და თავისებურებაზე. როგორც ოსიპოვა ამბობს, ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა დაინტერესებას ისტორიით, მათს გათვითცნობიერებას.

თამაში ასახავს ფსიქიკურ და ფიზიკურ მოქმედებათა შეხამებას, მოთამაშეთა შორის სპეციალური წესებით დადგენილ ურთიერთობებს. ეს ხელს უწყობს მოზარდის ხასიათის, ფიზიკური მონაცემების ჩამოყალიბება-განვითარებას. თამაშის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ აქ ყველა მონაწილე აქტიურობს, ინიციატივას იჩენს, რაც განპირობებულია სიტუაციის მუდმივი ცვლით.

დაწყებული გვაქვს საბჭოთა კავშირის ხალხთა მოძრავი თამაშების აპრობაცია. ამ სამუშაოს გაგრძელებამ უნდა გვიკარნახოს, რომელი თამაში შეიძლება ჩავრთოთ ფიზიკური აღზრდის სასკოლო პროგრამაში და როგორ დავიწყოთ მისი გამოყენება. მოძრავი თამაშები მტკიცედ უნდა დაინერგოს ფიზიკური კულტურის საბჭოური სისტემის ყველა რგოლში, განსაკუთრებით კი — სკოლამდელ დაწესებულებათა და სასკოლო ფიზიკურ აღზრდაში.

იხ. მე-4 გვ

სოფელი ღონიერია... — წერილმა გზად ვგიხმო

**რედაქციაში** ასეთი შინაარსის წერილი მივიღეთ: „ვმუშაობ წყემის არასრულ საშუალო სკოლაში სამეურნეო სამუშაოზე. ვარ სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული [illegible] ჭიდაობაში. მინდოდა გამეხსნა ჭიდაობის ჯგუფებით კოოპერატივი. მშობლებმა [illegible] ეს იდეა მოიწონეს, მაგრამ განათლების განყოფილებამ და სკოლის დირექციამ უარი მითხრეს, ვითომ უფლება არა გვაქვსო. სკოლის დარბაზში დირექციამ და სასოფლო საბჭომ კინოს ჩატარება [illegible] და კვირაში 2–3-ჯერ აჩვენებენ კიდეც, იჯარას კი არავინ იხდის...“

წერილის ავტორი ლერი ჭანტურია ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში არსებულ სხვა ხარვეზებზეც მიუთითებდა.

# გულგრილობით სოფელი ზარალდება

წყემი პატარა, მაგრამ ლამაზი სოფელია აბაშის რაიონში. იგი რესპუბლიკის მაგისტრალური გზიდან 2-3 კილომეტრზე, ვაკე ადგილზეა გაშენებული. 200-ზე მეტი კომლი ცხოვრობს, აქვს სასოფლო საბჭო, არასრული საშუალო სკოლა, საყოფაცხოვრებო ობიექტები, მხოლოდ ეგაა, ნორიოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის შემადგენლობაშია. სწორედ ამ სოფელში ცხოვრობს ლერი ჭანტურია. იგი სულ ორი წელია, რაც მშობლიურ სოფელში დაბრუნდა. ახალგაზრდობის წლები ტყიბულში გაუტარებია, სპორტული კარიერაც იქ დაუწყია და იქვე დაუმთავრებია, მაგრამ სპორტის სიყვარული არ განელებია.

— სოფელში იზრდებიან ჯანმაგარი, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდები, რომლებიც დროს უქმად კარგავენ, — გვითხრა ლერიმ. — თითოეული მათგანი პოტენციური სპორტსმენია, ოღონდ კვალიფიციური სპეციალისტის ხელი სჭირდება, წყემში კი ელემენტარული პირობები არ არის. მთელს სოფელს ერთი მოედანი არა აქვს, სკოლის ბაზები, როგორც რედაქციას მივწერე, სამაგისოდ არ არის გამოყენებული. მეგონა, თუ ჭიდაობის ჯგუფებს ჩამოვაყალიბებდი, ყველა ხელს შემიწყობდა, მაგრამ...

სამწუხაროდ სკოლის დირექტორი შოთა ბოკუჩავა და ფიზკულტურის მასწავლებელი ოთარ ჭანტურია ვერ ვნახეთ, სპორტული ბაზები კი მაინც დავათვალიერეთ. ამ ბაზებმა სრული თუ არა, დაახლოებითი წარმოდგენა მაინც მოგვცა იმაზე, თუ როგორ ტარდებოდა იქ ფიზკულტურის გაკვეთილი. სკოლა შარშან ააშენეს. კარგი დარბაზი აქვს, მაგრამ მშენებლებს კალათბურთის კარის დამაგრება დავიწყნიათ. მერე მის გაკეთებაზე - აღარც არავის უზრუნია. არც ფრენბურთისა და ხელბურთის დგარებია, არც იატაკია დახაზული.

ანალოგიური მდგომარეობაა ღია მოედანზეც.

გამოდის, რომ ბავშვებს არც კალათბურთი უთამაშიათ, არც ხელბურთი და არც ფრენბურთი. ფეხბურთზე საერთოდ ნურაფერს ვიტყვით. ახალი სკოლა სწორედ ფეხბურთის მოედანზე ააშენეს, სამაგიეროდ? დანაპირები დანაპირებად დარჩა. სკოლის სპორტდარბაზში მართლაც კინოს უჩვენებენ. სოფლის ხელმძღვანელებმა ალბათ კლუბის უქონლობის გამო გადაწყვიტეს ასე, მაგრამ წესი და რიგი ყველგან და ყველაფერშია საჭირო. ეტყობა, კინოსაც ბევრი მაყურებელი არა ყავს, რამდენიმე სკამია დადგმული, სიგარეტის ნამწვავები კი ბლომად ეყარა.

და ასეთ ვითარებაში ჭიდაობის ჯგუფის გახსნაზე უარს ეუბნებიან ენთუზიასტ კაცს ლერი ჭანტურიას, რომელმაც საკუთარი სახსრებით შეიძინა საჭირო ინვენტარი და პატარებს რამდენიმე თვის განმავლობაში პარტიზანულად ავარჯიშებდა.

როგორც ვთქვით, მთელს სოფელს ერთი მარტივი ტიპის მოედანი არა აქვს. ნორიოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მალხაზ კაჭარავამ თავი ვერაფრით იმართლა, მხოლოდ ეგაა დაგვპირდა, უახლოეს ხანში წყემში კარგ მოედანს გავაკეთებთო, იმაზე კი არაფერი უთქვამს, რომ რაიონულ შეჯიბრებებში არც ერთი წყემელი არ მონაწილეობს, თუნდაც ნორიოელთა შემადგენლობაში. განა ეს ამ კოლმეურნეობის ფიზკულტურის მეთოდისტის გურამ ჭანტურიას მუშაობის ნაკლოვანი მხარე არ არის?

აბაშის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ აკაკი ბობალავამ ობიექტური შეფასება მისცა წყემში შექმნილ მდგომარეობას.

— ლერი ჭანტურია ახალჩამოსული კაცია, — თქვა მან. — მართალი გითხრათ, კარგად არც ვიცნობდით. ჩვენთვის არასოდეს მოუმართავს ამგვარი განცხადებით, კარგი კი იყო საქმის ვითარება როგორმე დროულად გაეცნოთ. ჩვენ ამგვარ ხალხს, როგორც იტყვიან, სანთლით ვეძებთ. აბაშაში დღეს 40-მდე კოოპერატივი მოქმედებს, პერსპექტივაში მათი რიცხვი კიდევ გაიზრდება, მაგრამ არა მგონია წყემში სპორტულმა კოოპერატივმა გაამართლოს, სამაგისო არც ბაზა გვაქვს და არც დატვირთვა იქნება. ლერის ვურჩევთ ფინგანიდან პატენტი აიღოს და ფასიანი ჯგუფი გახსნას, განათლების განყოფილებამ თუ სკოლის დირექციამ კი საჭირო დახმარება უნდა აღმოუჩინოს. ვეცდებით პირველი სექტემბრიდან სპორტსკოლაშიც მივცეთ ჯგუფები. საერთოდ, წყემში შექმნილ მდგომარეობას უფრო საფუძვლიანად შევისწავლით და მდგომარეობის გამოსასწორებლად კონკრეტულ ღონისძიებებს დავსახავთ.

სოფელი ღონიერია, მისი სოციალური გარდაქმნა თვით სოფლელთა უნარზეა დამოკიდებული, მთავარია ეს უნარი ყველა საქმეში ადამიანების საკეთილდღეოდ წარვმართოთ.

**ნუგზარ ჟვანია,**
**„ლელოს“ საკ. კორ.**
აბაშის რაიონი.

# „მშენებელი“ — შემდგომ ეტაპზე



**სამწუხაროა,** მაგრამ ფაქტია, რომ ბათუმში უკანასკნელ წლებში საერთოდ არ ეწყობოდა ფრენბურთელთა მაღალი რანგის ასპარეზობები, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა სპორტის ამ სახეობის პოპულარობა, მისი შემდგომი განვითარება. ალბათ, ესეც იყო იმის მიზეზი, რომ ახლახან აქ გამართულმა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებამაც ვერ მიიზიდა მაყურებელი, თუმცა ტურნირის დაწყებიდან რამდენიმე ხნით ადრე, აფიშები იუწყებოდნენ ამ საინტერესო შეჯიბრების შესახებ.

ტურნირი ღია ცის ქვეშ, ზღვისპირა კულტურისა და დასვენების პარკის ჩოგბურთის კორტებზე ჩატარდა.

თასის გათამაშებაში მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის ისეთი მოწინავე კოლექტივები, როგორიცაა არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის ორი გუნდი, ტაშკენტის „დინამო“ და თბილისის „მშენებელი“. მართალია ცსკა-ს აკლდა რამდენიმე წამყვანი მოთამაშე, რომლებიც ახლა ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაში სეულის ოლიმპიადისათვის ემზადებიან, მაგრამ არმიელთა ორივე გუნდი საკმაოდ ძლიერად გამოიყურებოდა.

ტურნირი ორ წრედ ჩატარდა. პირველ ორ ადგილზე გასული გუნდები შემდეგ ეტაპზე განაგრძობენ ბრძოლას საპატიო პრიზისათვის. პირველ წრეში თბილისელმა ფრენბურთელებმა დათმეს შეხვედრები ცსკა-ს ორივე გუნდთან (2:3 და 2:3) და მოუგეს ტაშკენტელებს (3:0). მეორე წრეში მშენებლებმა უფრო შედეგიანად ითამაშეს. დაამარცხეს ცსკა-II (3:0), ტაშკენტის „დინამო“ (3:0) და გადამწყვეტ, ერთობ დაძაბულ მატჩში სძლიეს ცსკა-I (3:1). დააგროვეს 4 ქულა და საბოლოოდ მეორე ადგილი და თასისათვის ბრძოლის გაგრძელების უფლება შეინარჩუნეს. პირველ ადგილზე კი 5 ქულით ცსკა-I გავიდა.

— ბიჭების თამაშით კმაყოფილი ვარ, — თქვა ტურნირის დამთავრების შემდეგ „მშენებლის“ უფროსმა მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. კაჭარავამ, — რა თქმა უნდა, თამაშის ხარისხი უკეთესიც შეიძლებოდა ჰქონოდა გუნდს, მაგრამ შედეგი, ალბათ, იგივე გვექნებოდა. ასეც გვქონდა დაგეგმილი. წინ უფრო მნიშვნელოვანი და დაძაბული ბრძოლები გველის. საჭიროა სერიოზული მზადება.

„მშენებლის“ შემადგენლობაში იყვნენ: ს. დიაჩენკო, მ. მაცაბერიძე, ი. ალიოხინი, ს. ანდრიადი, ა. ლოლობერიძე, ვ. ჟუკი, დ. ხარშილაძე, პ. ულუმბელაშვილი, კ. გოსიტაშვილი, ი. არონიშიძე.

**ლევან ქავთარაძე,**
**(„ლელოს“ საკ. კორ.).**

ინვალიდები და სპორტი

# პირველი საკავშირო

**თავისუფალი** ჭიდაობა, მძლეოსნობა და ცურვა — ასეთი იყო საკავშირო სპორტსახკომის თაოსნობით გამართული ინვალიდ სპორტსმენთა I საკავშირო თამაშების პროგრამა. ეს შეჯიბრება მოსკოვის ოლქის ხიმკის სპორტულ კომპლექს „მაიაკზე“ გაიმართა.

ამ ასპარეზობაზე ჩვენი რესპუბლიკის სახელს თავისუფალ ჭიდაობაში იცავდნენ ყრუთა საზოგადოების ფალავნები. 80 ქულით გაიმარჯვა რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა. საქართველოს გუნდი მას მხოლოდ 10 ქულით ჩამორჩა და II საპრიზო ადგილზე გამოვიდა. III ადგილი 56 ქულით წილად ხვდა უკრაინის ნაკრებს.

ჩვენი რესპუბლიკიდან პირადპირველობაში მესამე ადგილები ხვდათ წილად ზ. ალბოროვს (48 კგ) და მ. კარიბოვს (62).

თამაშების ჩემპიონის წოდება მოიპოვა თბილისელმა ვ. კარიბოვმა (68). საინტერესოდ წარიმართა ორთაბრძოლა 82 კგ წონაშიც, სადაც ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ბელორუსიის წარმომადგენელი ვ. კოლინსკი და ყრუთა შორის საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონი რ. ფოლადაშვილი. ეს უკანასკნელი ამჯერად ვერცხლის მედლით დაკმაყოფილდა. პირველად მოიპოვა ჩემპიონის წოდება საქართველოს წარმომადგენელმა ი. ზაპოროჟეცმა (130).

ჩვენი გუნდის 5 მოჭიდავე შეყვანილია სსრკ ნაკრებში, რომელიც 1989 წლის იანვარში მონაწილეობას მიიღებს ინვალიდ სპორტსმენთა მსოფლიო სპორტულ თამაშებში, შეჯიბრება ჩატარდება ახალ ზელანდიაში.

**შოთა ქულუაშვილი,**
**საქართველოს ყრუთა საზოგადოების პრეზიდიუმის საორგანიზაციო მასობრივი მუშაობის განყოფილების უფროსი.**

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

გაცნობებთ, რომ 1988 წლის 11 თებერვალს გაზეთ „ლელოში“ გამოქვეყნებული კორესპონდენცია „კვლავ ერთ ადგილს ტკეპნიან“ სინამდვილეს შეესაბამება — ბოლო წლებში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად შეფერხდა ნიჩბოსნობის განვითარება.

აჭარის სპორტსახკომის გაფართოებულ სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ქალაქ ბათუმისა და რაიონების სპორტკომიტეტების, სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ხელმძღვანელები, განხილულ იქნა ავტონომიურ რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობის დღევანდელი მდგომარეობა და მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივები.

სხდომაზე აღინიშნა, რომ აჭარაში აკადემიური და საბაიდარო ნიჩბოსნობის ჩამორჩენა ძირითადად გამოწვეულია ბათუმისა და რაიონული სპორტკომიტეტების, სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ხელმძღვანელთა ამ სახეობით ნაკლები დაინტერესებითა და მოუქნელი მუშაობით; აგრეთვე აჭარის სპორტსახკომის სუსტი კონტროლითა და მომთხოვნელობის შესუსტებით. აღინიშნა ისიც, რომ ავტონომიურ რესპუბლიკაში დღესდღეობით ძალზე არასახარბიელო პირობებია ამ სახეობის განსავითარებლად. მიზეზი ის გახლავთ, რომ 1986 წლის სტიქიურმა უბედურებამ, კერძოდ, ხანძარმა, გაანადგურა ბათუმში, პიონერთა პარკში მდებარე ერთადერთი სანიჩბოსნო ბაზა, რის გამოც აჭარის სპორტსმენები, ფაქტობრივად, სპორტული ბაზისა და ინვენტარ-მოწყობილობის გარეშე დარჩნენ.

აღნიშნული მდგომარეობის სალიკვიდაციოდ აჭარის სპორტსახკომმა, საქართველოს საზღვაო

# „კვლავ ერთ ადგილს ტკეპნიან“

სანაოსნოსა და აჭარის განათლების სამინისტროსთან ერთად, განახორციელა პრაქტიკული ღონისძიებები ნიჩბოსნობაში დაკარგული ტრადიციების აღსადგენად. მიმდინარე წლის თებერვალში განათლების სამინისტროს სპორტსკოლამ შეიძინა ნავები, სპორტული ინვენტარი შეიძინა აგრეთვე საქართველოს საზღვაო სანაოსნომ. ჩვენი თხოვნით, ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ხანძრისგან განადგურებული განათლების სამინისტროს სანიჩბოსნო ბაზის ტერიტორია გადასცა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს, რომელიც ამჟამად ადგენს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას და მიმდინარე წლის IV კვარტალში შეუდგება თანამედროვე სანიჩბოსნო ბაზის მშენებლობას.

ამასთან ერთად, აჭარის სპორტსახკომმა ბათუმის საშუალო და სპეციალურ პროფტექნიკურ სასწავლებლებში შეარჩია ტანმაღალი, პერსპექტიული ახალგაზრდები, რომლებიც ჩაირიცხნენ სპეციალურ ჯგუფებში და ახლა სისტემატურ, ორჯერად წვრთნას გადიან. ოთხი მათგანი შეყვანილი იყო რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში, რომელიც ჭაბუკთა მეორე საკავშირო თამაშებისთვის ემზადებოდა. აჭარის სპორტსახკომი ყველაფერს იღონებს საიმისოდ, რომ ჩვენი წარმომადგენლები რეგულარულად მონაწილეობდნენ კალენდრით გათვალისწინებულ ყველა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში.

**თ. ბოლქვაძე,**
**აჭარის ასსრ სპორტსახკომის თავმჯდომარე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საბჭოთა კავშირის თასზე

**გუშინ** გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო თასის 1988-89 წლების გათამაშების მეთექვსმეტედფინალის საპასუხო მატჩები.

ქუთაისის „ტორპედოს“ პირველი შეხვედრა ოდესის „ჩერნომორეცთან“ მოგებული ჰქონდა ანგარიშით 2:0. ტორპედოელებმა გუშინ თავიანთ მინდორზე ფრედ ითამაშეს — 1:1 და მერვედფინალში გავიდნენ.

თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის სტადიონზე „შევარდენი“-სპი-მ მიიღო ვილნიუსის „ჟალგირისი“. პირველი თამაში „ჟალგირისს“ მოგებული ჰქონდა 4:2, გუშინ „შევარდენი“-სპი-მ აიღო რევანში — 1:0, მაგრამ ორი მატჩის ჯამში მერვედფინალში სტუმრები გავიდნენ.

თბილისის „დინამოს“ საპასუხო მეთექვსმეტედფინალური მატჩი კიშინიოვის „ნისტრუსთან“ გაიმართება დღეს. ეს იმის გამო მოხდა, რომ „ნისტრუს“ II ლიგის საკავშირო გათამაშების კალენდარული მატჩი 18 ივლისს ჰქონდა.

თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალში დამარცხება იწვნია მოსკოვის „დინამომ“. მოსკოველებმა პირველი მატჩი ნიკოპოლის „კოლოსთან“ (I ლიგა) საკუთარ მინდორზე ფრედ დაამთავრეს — 0:0. ასევე დამთავრდა საპასუხო მატჩის ძირითადი და დამატებითი დროც, მატჩის შემდგომი 11-მეტრიანებით კი გაიმარჯვა „კოლოსმა“ — 3:1.

## „სიჭაბუკის“ თასზე

**სამტრედიაში** დამთავრდა ნორჩ ფეხბურთელთა საკავშირო ზონალური გათამაშება „სიჭაბუკის“ თასზე.

შეჯიბრება წარმატებით განვლეს საქართველოს ფეხბურთელებმა, რომლებმაც 8 ქულით პირველი ადგილი დაიკავეს. მეორე ადგილზე გავიდა ლიტვის ნაკრები —7 ქულა.

საქართველოსა და ლიტვის გუნდები „სიჭაბუკის“ თასის საკავშირო გათამაშების ფინალში გავიდნენ, ფინალის მონაწილე 6 გუნდი 10-20 აგვისტოს გადამწყვეტ შეჯიბრებას გამართავს უკრაინის ქალაქ ტერნოპოლში.

ზონალური ტურნირის საუკეთესო ბომბარდირია ქუთაისელი ფეხბურთელი ჰეიშვილი, რომელმაც 7 ბურთი გაიტანა. ტურნირის საუკეთესო ნახევარმცველად აღიარეს ცხინვალელი ნასუაშვილი.

## საქართველოს პირველობა

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XX ტურის შეხვედრები.

### I ჯგუფი

**„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 1:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).** გოლი: ჩინჩალაძე („საპოვნელა“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს თერჯოლელი ფეხბურთელი მ. გეწაძე.

**„ეგრისი“ (ცხაკაია) — „არმაზი“ (მცხეთა) 2:1. მსაჯი გ. გაბისკირია (სოხუმი).** გოლები: კიკალეიშვილი, ქარჩავა („ეგრისი“), იორამაშვილი („არმაზი“).

**„დინამო“ (გაგრა) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 2:0. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (თბილისი).** გოლები: კვარაცხელია, რაგანიანი („დინამო“).

**„დინამო“ (ზუგდიდი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 5:1. მსაჯი გ. თხელიძე (თბილისი).** გოლები: ჯიქია, შეროზია, ვ. თუთბერიძე-2, ცირდავა („დინამო“), ორმოცაძე („ბახტრიონი“).

**„კოლხეთი“ (ხობი) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 4:2. მსაჯი კ. დავიდიანი (ბათუმი).**

**„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 2:1. მსაჯი ა. კიკაბიძე (მახარაძე).** გოლები: ბრეგვაძე, სევასტოპულო („მაღაროელი“), როსტობაია („ამირანი“).

**„სულორი“ (ვანი) — „ივერია“ (ხაშური) 3:0. მსაჯი თ. სოფრომაძე (თბილისი).** გოლები: ვერულაშვილი-2, დვალიშვილი („სულორი“).

**„მადნეული“ (ბოლნისი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 2:2. მსაჯი გ. ხეჩუაშვილი (თბილისი).** გოლები: ჯაგოვი, დოლიძე („მადნეული“), ელოევი, სანადირაძე („დურუჯი“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ბოლნისელი ფეხბურთელი ნ. დოლიძე და ყვარლელი ხ. მინდიაშვილი. მსაჯთან სისტემატური კამათისთვის გააფრთხილეს „დურუჯის“ ფეხბურთელი ე. სანადირაძე.

**„სქური“ (წალენჯიხა) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 3:2. მსაჯი დ. გაგნიძე (თბილისი).** გოლები: ჩიკინიოვი, აფხაზავა, კვირტია („სქური“), კიკნაძე-2 („მეტალურგი“).

**„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 1:1. მსაჯი თ. კურტანიძე (თბილისი).** გოლები: ხელაია („სალხინო“), კალატოზი („მეშახტე“).

**! დასასრულს მიუახლოვდა საქართველოს 1988 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი წრე, დადგა განვლილი ეტაპის შედეგების შეჯამების დრო, უნდა დავსახოთ ღონისძიებები, რომლებიც დაგვეხმარება უფრო ორგანიზებულად, უფრო მაღალ დონეზე ჩავატაროთ გათამაშების მეორე წრე და, საერთოდ, სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები.**

კვლავ და კვლავ ყურადღების ცენტრში დგას მსაჯობის საკითხი. ფეხბურთის სპეციალისტები, მაყურებლები, უშუალოდ შეჯიბრებაში მონაწილე გუნდების მწვრთნელები აღნიშნავენ, რომ საქართველოს პირველობის კალენდარულ შეხვედრათა მსაჯობა ადრინდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, ამაღლდა დისციპლინა, მაგრამ სასურველ დონეს ჯერ მაინც ვერ მივაღწიეთ. ბევრ კალენდარულ მატჩში მსაჯობა ვერ პასუხობდა დღევანდელ მოთხოვნებს, ჯერ კიდევ შესამჩნევია სერიოზული ნაკლოვანებები.

ეჭვს არ იწვევს, რომ მეორე წრეში საქართველოს პირველობის მატჩებში დაძაბულობა კიდევ უფრო მოიმატებს, მით უფრო აუცილებელია მსაჯობის გაუმჯობესება, დისციპლინის განმტკიცება. მსაჯობის ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად საჭიროა ამაღლდეს მატჩებზე დანიშნული ინსპექტორების პასუხისმგებლობა და პრინციპულობა.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველომ და რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმმა გადაწყვიტეს წლეულს 5 აგვისტოს თბილისის „ლოკომოტივის“ ცენტრალურ სტადიონზე დილის 10 საათიდან მოაწყოს ფეხბურთის მსაჯთა სავალდებულო ნორმების ჩაბარება ფიზიკურ მომზადებაში და გასაუბრება თეორიული ცოდნის განსამტკიცებლად. ნორმატივების ჩაბარება ფიზიკურ მომზადებასა და თეორიულ ცოდნაში სავალდებულოა ყველა მსაჯისთვის, რომლებიც კი ემსახურებიან რესპუბლიკურ და საკავშირო ღონისძიებებს.

ღონისძიება მეტად მნიშვნელოვანი და საჭიროა, ამიტომაც მსაჯები, რომლებიც არ გამოცხადდებიან ნორმატივების ჩასაბარებლად და თეორიული ცოდნის შესამოწმებლად, ან ვერ შეასრულებენ ამ მოთხოვნებს, არ დაიშვებიან საკავშირო და რესპუბლიკურ შეჯიბრებათა თამაშებზე.

იმავე დღეს, 5 აგვისტოს, ფიზკულტურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში 16 საათზე ჩატარდება თათბირი, სადაც განიხილავენ რესპუბლიკურ შეჯიბრებათა პირველი წრის შედეგებს, დასახავენ ღონისძიებებს შემდგომი საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ამ თათბირზე მოწვეული არიან საქართველოს პირველობის ყველა ჯგუფის გუნდების მწვრთნელები, მსაჯები და ინსპექტორები.

### მსაჯთა რეესტრი
### 23-24 ივლისის მატჩები

„საპოვნელა“ — „მაღაროელი“. ვ. ეჯიბია, ე. ხილაგავა, გ. ხეჩუაშვილი (თბილისი).

„სპარტაკი“ — „სულორი“. ჯ. წერეთელი, გ. ბეჟიაშვილი, ნ. ფოლადაშვილი (რუსთავი).

„ივერია“ — „დინამო“ (ზუგდიდი). თ. ლორთქიფანიძე, ტ. ნიშნიანიძე, ა. კოკაია (თბილისი).

„ბახტრიონი“ — „მადნეული“. მ. ჭელიძე, ზ. ცინცაძე, ვ. ალიევი (თბილისი).

„სამეგრელო“ — „სქური“. თ. სადილიანი, მ. კობიაშვილი, ვ. ხეჩოიანი (თბილისი).

„მეტალურგი“ — „სალხინო“. ი. კანდელაკი, გ. ხეჩუაშვილი (თბილისი), ნ. მაჭარაძე (წულუკიძე).

„მეშახტე“ — „ეგრისი“. ე. ხილაგავა, დ. გაგნიძე, ვ. ეჯიბია (თბილისი).

„არმაზი“ — „დინამო“ (გაგრა). მ. მაღლაფერიძე, გ. მიქაუტაძე, პ. დოგრაშვილი (ქუთაისი).

„ქართლი“ — „კოლხეთი“. ა. კოკაია, ვ. ალიევი, ტ. ნიშნიანიძე (თბილისი).

„ამირანი“ — „შადრევანი“. გ. სეფიაშვილი, ა. მანუკიანი, ბ. თოფურია (თბილისი).

### II ჯგუფი

**აღმოსავლეთი ქვეჯგუფი.** „აბული“ (ახალქალაქი) — „მეტალისტი“ (რუსთავი) 1:0, ახ. საფ. სკოლა (თბილისი) — „ალგეთი“ (მარნეული) 0:2, „არაგვი“ (დუშეთი) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 2:0, „თორი“ (ბორჯომი) — სსი (მუხრანი) 2:1, „მეფრინველე“ (კასპის რ-ნი) — „ფოსტამტი“ (თბილისი) 1:0, „სამგორი“ (გარდაბანი) — „ვარძია“ (ასპინძა) 1:2, „კახეთი“ (თელავი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 3:1.

**დასავლეთი ქვეჯგუფი.** „იმერეთი“ (წულუკიძე) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 1:0, „ოდიში“ (ზუგდიდის რ-ნი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) 3:2, „ჩხერიმელა“ (ორჯონიკიძე) —„ნარინჯი“ (ქობულეთი) 0:2, „ქიმიკოსი“ (ამბროლაური) — „კოლხეთი“-2 (ფოთი) 1:0, ხდკ (სამტრედია) — „ჩიბათი“ (ლანჩხუთი) 2:3, „დარჩელი“ (ზუგდიდის რ-ნი) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 5:2, „მზიური“ (გალი) — „საირმე“ (მაიაკოვსკი) 2:0, „მამისონი“ (ონი) — „დვაბზუ“ (მახარაძე) 3:1.

### III ჯგუფი

**აღმოსავლეთი ქვეჯგუფი.** „მარაბდა“ ([illegible]) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 0:1, „კოლმეურნე“ (მარნეულის რ-ნი) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 2:2, „სინათლე“-„სპორტინტერნატი“ (თბილისი) — „შირაქი“ (წითელი წყარო) 2:2, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „ვარდისუბანი“ (ლაგოდეხის რ-ნი) 1:0, „ნაფარეული“ (თელავის რ-ნი) — „მიონი“-35 (თბილისი) 2:0.

**ცენტრალური ქვეჯგუფი.** „მეშაქრე“ (აგარა) — „ავტომობილისტი“ (გორი) 2:2, „ლიახვი“ (ცხინვალის რ-ნი) — „ჭოგნარი“ (თერჯოლის რ-ნი) 1:2, „ხვამლი“ (ცაგერი) — „ფარვანა“ (ბოგდანოვკა) 1:1, „იბერია“ (ქარელი) —„ბაგიათი“ (ჯავა) 1:0, „მევენახე“ (ახალდაბა) — „ცენტრმეტალურგმშენი“ (ზესტაფონი) 2:1, „ორპირი“ (ოკრიბა, ტყიბულის რ-ნი) — „მშენებელი“ (ჭიათურა) 2:0, „ფეიქარი“ (ხაშური) — „ქვემო ჭალა“ (კასპის რ-ნი) 5:1.

**დასავლეთი ქვეჯგუფი.** „სუბტროპიკი“ (სოხუმი) — „ავტომობილისტი“ (ბათუმი) 6:2, „ახალსოფელი (ზუგდიდის რ-ნი) — „სპარტაკი“ (ბათუმი) 2:0, „კოლხიდა“ (ქუთაისი) — „მეშახტე“ (ტყვარჩელი) 2:0, „მელექედური“ (მახარაძის რ-ნი) — „განთიადი“ (ცხაკაია) 5:0.

### გათამაშების ცხრილი

**I ჯგუფი**

მდგომარეობა 20 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სულორი“ | 20 | 15 | 4 | 1 | 33-9 | 34 |
| „კოლხეთი“ | 20 | 15 | 2 | 3 | 46-24 | 32 |
| „დინამო“ ზ. | 20 | 11 | 8 | 1 | 41-16 | 30 |
| „შადრევანი“ | 20 | 10 | 5 | 5 | 32-25 | 25 |
| „ამირანი“ | 20 | 10 | 3 | 7 | 33-19 | 23 |
| „მადნეული“ | 20 | 9 | 5 | 6 | 35-31 | 23 |
| „დინამო“ გ. | 20 | 10 | 2 | 8 | 26-22 | 22 |
| „საპოვნ.“ | 20 | 8 | 4 | 8 | 29-24 | 20 |
| „დურუჯი“ | 20 | 6 | 8 | 6 | 23-25 | 20 |
| „სამეგრ.“ | 19 | 9 | 1 | 9 | 28-30 | 19 |
| „მეშახტე“ | 20 | 7 | 5 | 8 | 17-24 | 19 |
| „სალხინო“ | 20 | 7 | 4 | 9 | 29-35 | 18 |
| „სპარტაკი“ | 20 | 7 | 3 | 10 | 31-33 | 17 |
| „მაღარ.“ | 20 | 7 | 3 | 10 | 25-31 | 17 |
| „ბახტრ.“ | 20 | 6 | 4 | 10 | 22-32 | 16 |
| „ქართლი“ | 20 | 6 | 4 | 10 | 23-35 | 16 |
| „ივერია“ | 20 | 6 | 4 | 10 | 21-34 | 16 |
| „მეტალ.“ | 19 | 6 | 3 | 10 | 33-34 | 15 |
| „ეგრისი“ | 20 | 5 | 5 | 10 | 20-34 | 15 |
| „სქური“ | 20 | 5 | 4 | 11 | 25-36 | 14 |
| ფიზ. ინს. | 18 | 3 | 7 | 8 | 23-31 | 13 |
| „არმაზი“ | 20 | 4 | 4 | 12 | 22-34 | 12 |

ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშების წინ

# ისევ ის გუნდი და ისევ ის ადგილი



**მნიშვნელოვანი საკავშირო შეჯიბრებებისთვის მზადების პერიოდში ჩვენი რესპუბლიკის ნიჩბოსანთა ნაკრებ გუნდებს ზაფხულის დამდეგს, ჩვეულებრივ, სიონში ვაკითხავდით. ტრადიციად იქცა: ნიჩბოსნები ჯერ ფოთს, ბაკურიანსა და თბილისს „მოივლიდნენ“, ზაფხულობით კი სიონის წყალსაცავს ეწვეოდნენ. ჭაბუკ მებაიდარეთა და კანოისტთა ნაკრების მზადების გეგმაში წელს ცვლილება მოხდა — შეჩვეულ ადგილებს ერთი ახალი მიემატა — ბაზალეთის ტბა. ამ სიახლეზე ყურადღებას არ გავამახვილებდით, ერთი გარემოება რომ არა: ტბის პირას, ტურბაზა „ბაზალეთის“ ლამაზ შემოგარენში, იშვიათად რომ გვინახავს, ისე კომფორტულად დაბანაკებული ჩვენი ნიჩბოსნები რომ ვიხილეთ, სიხარულთან ერთად სინანულის გრძნობაც დაგვეუფლა. სინანულისა იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით —ამ სახეობის განვითარებისთვის მართლაც შესანიშნავი და ბევრი ჩვენი მეტოქისთვის შესაშური ბუნებრივი პირობები გვაქვს, არც ჩვენს ყმაწვილებს დაეწუნებათ დონე და სისწრაფე, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერაც სხვათა მედლები და ადგილები გვშურს.**

მებაიდარეთა და კანოისტთა ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელთან სულიკო ციცქიშვილთან საუბარი ტრადიციული, უმტკივნეულო „სადებიუტო“ კითხვით დავიწყეთ — სად და როგორ ემზადებოდა გუნდი.

— გასული წლის ოქტომბრიდან დღემდე ცხრაჯერ შევიკრიბეთ: ექვსჯერ — ფოთში, ორჯერ — ბაკურიანში, ერთხელ — თბილისში, ახლა აქ, ბაზალეთის ტბაზე გადავწყვიტეთ შეკრება, შემდეგ კი, ტრადიციისამებრ, სიონს ვეწვევით, სადაც ხანგრძლივ საბოლოო შეკრებას მოვაწყობთ.

**⊙ გუნდის წევრთაგან თითქმის ყველა მეცნო—შარშან, სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებში სწორედ ეს ნიჩბოსნები იცავდნენ რესპუბლიკის ღირსებას.**

— დიახ, ჭაბუკთა ნაკრები დაკომპლექტებულია იმ სპორტსმენებით, რომლებმაც შარშან სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებში იასპარეზეს. ცვლილებები უმნიშვნელოა — დაგვემატა მხოლოდ პერსპექტიული რუსთაველი კანოისტი გიორგი კახიშვილი.

**⊙ ამ გუნდმა, რომელსაც შარშანაც თქვენ ხელმძღვანელობდით, ერთი ბრინჯაოს მედლითა და ფინალურ რბოლებში ხუთი ეკიპაჟის მონაწილეობის წყალობით მოსწავლეთა თამაშების გუნდურ ჩათვლაში მეცხრე ადგილი დაიკავა. წელს რომელ ადგილს უმიზნებთ?**

— კვლავ მეცხრეს.

**⊙ ჭაბუკთა თამაშებში შარშანდელზე გაცილებით მეტი გუნდი გამოვა. გავითვალისწინოთ ისიც, რომ მოსწავლეთა საკავშირო თამაშები ჩვენთან ჩატარდა. მაშინ თქვენ, მასპინძლებს, უკიდურესი თავგამოდება დაგჭირდათ მეცხრე ადგილის დასაკავებლად. წელს გუნდების რაოდენობაც ორჯერ მეტი იქნება და შეჯიბრებაც სარატოვში ჩატარდება. განა ეს არ გაგიძნელებთ შარშანდელი შედეგის გამეორებას?**

— გაგვიძნელებს და მერე როგორ! ამასთან, ყველა სირთულეს ისიც დაემატა, რომ წელს, ასე ვთქვათ, ასაკშიც ვაგებთ. გახსოვთ, ალბათ: სპორტსკოლების მოსწავლეთა თამაშებში 1971-72 წლებში დაბადებული სპორტსმენები გამოდიოდნენ, ჭაბუკთა თამაშების დებულებით კი ამ შეჯიბრებაში 1970-71 წლებში დაბადებული ნიჩბოსნები დაიშვებიან. წელან უკვე ვთქვით, რომ ამ შეჯიბრებისთვისაც ის ნიჩბოსნები ემზადებიან, რომლებმაც შარშან მოსწავლეთა თამაშებში მიიღეს მონაწილეობა, მათი უმრავლესობა კი, ცხადია, 1971 წელს არის დაბადებული.

**⊙ ბუნებრივია, ახლა ის უნდა გკითხოთ, რა მიზეზია, რომ ნაკრებში არ გვყავს 1970 წელს დაბადებული სპორტსმენები, მაგრამ ვშიშობ, ამ შეკითხვას გულუბრყვილობაში ჩამომართმევთ — საერთო მიზეზი ყველასათვის კარგადაა ცნობილი, იგი ხომ ჩვენი ნიჩბოსნობის დღევანდელ არასახარბიელო მდგომარეობაშია საძიებელი.**

— გეთანხმებით, ამიტომ მრავალჯერ ნათქვამს არ გავიმეორებ და მოკლედ ვიტყვი: ეს სიტუაცია იმიტომ შეიქმნა, რომ სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებში მოზარდ ნიჩბოსნებთან უსისტემოდ, წინგაუხედავად მუშაობენ.

**⊙ ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ საუბარი ისე აეწყო, რომ თავისთავად იბადება კითხვა: თუ წელს ჭაბუკთა თამაშებისთვის 1970 წელს დაბადებული სპორტსმენები ვერ შეგვირჩევია, რა უნდა ვქნათ გაისად, ახალგაზრდულ თამაშებზე, როცა ასაკით უფრო დიდი სპორტსმენების შეკრება მოგვიწევს?**

— მოგვიწევს და ჩვენი მდგომარეობა წლევანდელზე უფრო კრიტიკული იქნება. მიზეზი იგივეა, წინა შეკითხვის პასუხად რომ მოგახსენეთ, მაგრამ აქ სხვა გარემოებაც გვაბრკოლებს: კარგა ხანია წვევამდელი ასაკის ნიჩბოსანთა უმრავლესობა თვალსა და ხელს შუა გვეკარგება, რადგან ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტულ კლუბში ეს სახეობა დანერგილი არ არის. ახალგაზრდული თამაშებისთვის უმთავრესად ამ ასაკის სპორტსმენები უნდა ემზადებოდნენ, ისინი კი ამჟამად ჯარში არიან.

**⊙ ბევრიც რომ ვეცადოთ, მომავლის პრობლემებს ვერ დავემალებით. ამ საკითხზე გულდასმით საუბრის დროც მალე დადგება, ახლა კი ისევ ჭაბუკთა თამაშებს დავუბრუნდეთ.**

— სადღეისო და სამომავლო პრობლემებზე საუბრის მერე იქნებ ზედმეტად ოპტიმისტურად გეჩვენოთ იმის განცხადება, რომ ნიჩბოსნებმა და მათმა მწვრთნელებმა კარგად იციან, როგორი ძალისხმევაა საჭირო დასახული მიზნის მისაღწევად. ცხადია, თავს არ დავზოგავთ, სპორტს ხომ თავისი კანონები აქვს — როგორც უნდა გიჭირდეს, მაინც უკეთესზე უნდა იფიქრო, ყველაფერი უნდა გაიღო დანაპირების შესასრულებლად. ვიმედოვნებთ, რომ ფინალურ რბოლებში იასპარეზებენ გოგონათა ოთხ და ორადგილიანი, ვაჟთა ოთხადგილიანი ბაიდარების ეკიპაჟები, ერთადგილიანი კანოე. გაგაცნობთ იმათაც, ვინც ჭაბუკთა თამაშებისთვის ემზადება: ნინო წურწუმია, ნინო მუსოევა, მარინა საენკო, მაია ჩიტაია, ზურაბ ფილია, მალხაზ ლომაძე, მალხაზ ცაავა, აკაკი უსუფაშვილი, ტიტე გოქსაძე, კოტე ლომიძე, პაატა გუჯაბიძე, ირაკლი ხოშტარია, ბენო ოჩიგავა, ხვიჩა და გოჩა გიგიბერიები, გიორგი კახიშვილი და სხვები. სპორტსმენების უმრავლესობა ფოთელია.

**⊙ ერთი პრინციპული შეკითხვაც, ვინაიდან ამ საკითხზე ბევრი ითქვა და დაიწერა: გყავთ თუ არა გუნდის ექიმი?**

— ბევრი მიწერ-მოწერისა და ლაპარაკის მიუხედავად, რესპუბლიკის ჭაბუკ მებაიდარეთა და კანოისტთა ნაკრები გუნდის ექიმით უზრუნველყოფის საკითხი დღემდე მოუგვარებელია.

**ესაუბრა თამაზ შენგელია.**

# ვცდილობთ დავნერგოთ

(დასასრული)

ახლა გვინდა მკითხველს გავაცნოთ ფიზკულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელი ფაკულტეტის იმ სტუდენტთა მოსაზრებანი მოძრავი თამაშების შერჩევისა და დანერგვის თაობაზე, რომლებიც პედაგოგიურ პრაქტიკას გადიოდნენ თბილისის რუსულ სკოლებში.

სტუდენტი ი. ტრუსოვი: „მიუხედავად იმისა, რომ 63-ე საშუალო სკოლა კალათბურთის განხრისაა, ჩვენი მეთოდისტის რჩევით, დაბალ და საშუალო კლასებში ვნერგავდით მოძრავ თამაშებსაც, რომლებიც ბავშვებს ძალიან მოსწონდათ. დავნერგეთ ქართული „ბებერაობა“, რომელსაც მეტი ნაირფეროვნებისთვის ესტაფეტური ხასიათი მივეცით“.

სტუდენტი ი. სანკოვი: „გაკვეთილებზე ვატარებდით მოძრავ თამაშებს. ბავშვებს შევასწავლე რუსული თამაში — „მესამე ზედმეტია“ და ბევრი სხვა. ასეთი რამ ახალისებს ბავშვებს, აყვარებს გაკვეთილს, მცირდება გაცდენები და ვარჯიშისათვის თავის არიდების შემთხვევები“.

სტუდენტი ი. ბალათურია: „ბავშვებს ვათამაშებდი ლახტაობას. ვაჟკაცური თამაშია და უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი მტკივნეული ილეთის მიუხედავად, იგი ძალიან უყვართ“.

სტუდენტი ლ. სარქისოვი: „ძალიან დამეხმარა წიგნი „სსრკ ხალხთა თამაშები“. მისი წაკითხვის შემდეგ სულ სხვა თვალით შევხედე ხალხურ თამაშებს. ყველა გაკვეთილზე დროის დიდ ნაწილს ვუთმობდი ამ თამაშებს. მოსწავლეებში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ქართულმა „დიდმა ოთურმამ“ და სხვებმა. დიდია მოძრავი თამაშების აღმზრდელობითი მნიშვნელობა. იგი ხელს უწყობს მასწავლებლის კლასთან დაახლოებას. ამ თამაშებმა დატვირთვის სწორად დოზირების საშუალება მომცა“.

მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო წინასწარი აპრობაცია, ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვთა პატრიოტულ-ინტერნაციონალური აღზრდისთვის ხალხურ თამაშებს.

ხალხური თამაშების (ისევე როგორც ფიზიკური ვარჯიშების) მეტი წილი საზოგადოების განვითარების ადრინდელ საფეხურებზე წარმოიშვა და მჭიდროდაა დაკავშირებული ამა თუ იმ ხალხის ყოფაცხოვრებასთან, როგორც მისი კულტურის ელემენტი. სწორედ ამიტომაა, რომ ხალხურ თამაშებში მეცადინეობა, განსაკუთრებით კი შეჯიბრებები, მრავალ მონაწილესა და მაყურებელს იზიდავს. მოძრავი თამაშების ცხოველმყოფელი ძალა იმაშია, რომ ისინი დღესაც გამოიყენება ცოცხალ ყოფაში.

შემთხვევითი არ არის, რომ ქართველი ხალხი, ისევე როგორც დანარჩენი ხალხები, სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობა თავის ეროვნულ ფიზიკურ კულტურას, რომლის საუკეთესო ნიმუშებმა ჩვენამდე მოაღწია. ხალხური სპორტის ზოგიერთ სახეობაში უკვე დიდი ხანია ტარდება სხვადასხვა რანგის შეჯიბრებები. ისიც აღსანიშნავია, რომ ხალხურ სახეობებში ვარჯიშის დროს ყოველთვის სათანადო ყურადღება ეთმობოდა ქცევის სხვა მხარეებსაც. ეს სახეობები ფიზიკური წრთობაც იყო და ზნეობრივ-ესთეტიკური აღზრდის საშუალებაც.

ფიზიკური აღზრდის საშუალებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იგი აუცილებელია ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის ფორმირებისათვის. როდესაც ასე ვაყენებთ საკითხს, პირველ ყოვლისა ვგულისხმობთ იმას, რომ არ არსებობს ანტაგონიზმი ეროვნულ და ე. წ. საერთაშორისო (კლასიკურ) სახეობებს შორის. არაფრით არ არის გამართლებული შემოტანილი სახეობებისადმი ცალმხრივად გაძლიერებული ყურადღება. ჩვენც და სხვა ხალხებსაც გვაქვს მოძრავი თამაშები, რომლებზეც უარის თქმა არ შეიძლება.

ამ თამაშების შემდგომი მიზანმიმართული გამოვლენა და შესწავლა ახალ-ახალ თვალწარმტაც, ლამაზ, პედაგოგიკისათვის მნიშვნელოვან ნიმუშებს გაგვაცნობს. მათი სკოლებში დანერგვა კიდევ უფრო გაამდიდრებს ფიზიკური აღზრდის საშუალებათა არსენალს, თვით გაკვეთილები კი უფრო მიმზიდველი გახდება.

ქართული და სხვა ხალხთა მოძრავი თამაშების შემდგომი აპრობაცია, ვფიქრობთ, არ მოითხოვს ხანგრძლივ დროს, რადგან ისინი ჯერ ერთი, საგანგებოდაა შერჩეული, მეორე მხრივ კი საუკუნეების მანძილზეა შემოწმებული.

ფიზიკური აღზრდის ხალხური საშუალებების, განსაკუთრებით მოძრავი თამაშების სკოლაში დანერგვა მხარდაჭერას მოითხოვს განათლების ორგანოებისაგან.

**ვასილ ელაშვილი.**

# შვიდეულის მიღმა

**უჟგოროდში** დამთავრდა სსრ კავშირის პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების მოჭადრაკე ვაჟთა პირველობა, რომელმაც სსრ კავშირის I ლიგის ჩემპიონატის 7 მონაწილე დაასახელა. სამწუხაროდ, შვიდ საუკეთესოთა შორის ვერ მოხვდა ახალგაზრდა თბილისელი ოსტატი ლაშა ჯანჯღავა, რომელმაც ბოლო ტურში ყაიმით დაამთავრა შეხვედრა და ნახევარი ქულა არ ეყო სანუკვარი მიზნის მისაღწევად.

შეჯიბრებაში გაიმარჯვა ბასინმა — 7,5 ქულა. 7-7 ქულით II-VII ადგილები გაიყვეს ბალაშოვმა, ოლმა, როზენტალისმა, მაგერამოვმა, ჰუსეინოვმა და ულიბინმა. ჯანჯღავა VIII-XIV ადგილზეა.

რა შეიძლება ითქვას ცხელ კვალზე? თბილისელი მოჭადრაკე თამაშით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი უნდა იყოს. მან ხომ 3 პარტია მოიგო, 7 მეტოქეს დაუზავდა და მხოლოდ ერთ პარტიაში მოეცარა ხელი. გარდა ამისა, იგი სამ საერთაშორისო დიდოსტატს შეხვდა (მიხალჩიშინი, ბალაშოვი, ვაისერი) და სამივესთან ქულა გაიყო. ხოლო იმან, რომ ლ. ჯანჯღავა პირველ შვიდეულში ვერ მოხვდა, მაინცდამაინც არ უნდა გაუტეხოს გული ახალგაზრდა ოსტატს, რადგან მისივე ბედი გაიზიარეს იმავე მიხალჩიშინმა და ვაისერმა, დიდოსტატმა პალატნიკმა, უდავოდ ნიჭიერმა ახალგაზრდებმა — აკოფიანმა, რუბანმა და სხვებმა.

## „ფორმულა-1“-ის ტრასებზე

# სენსაცია სილვერსტოუნში



**ინგლისში,** სილვერსტოუნის ტრასაზე, გაიმართა „ფორმულა-1“ კლასის ავტომობილებით რბოლაში მსოფლიო ჩემპიონატის მერვე ეტაპი.

საწვრთნელი რბოლა ყველასთვის მოულოდნელად მოიგო „ფერარის“ გუნდმა. მეორე დღეს, სტარტზე, მიქელე ალბორეტოს და გერჰარდ ბერგერს პირველი-მეორე ადგილები ეკავათ.

აირტონ სენამ მომდევნო, მერვე გამარჯვება მოუტანა „მაკლარენს“ და ამით მისმა გუნდმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ჩემპიონობისკენ.

მაგრამ ნაიჯელ მენსელმა, რომელსაც ამ ტრასაზე ორჯერ აქვს მოპოვებული დიდი პრიზი, უფრო განაცვიფრა გულშემატკივრები, როდესაც სუსტძრავიანი ავტომობილით მეორე ადგილი დაიკავა.

რბოლას სათავეში ედგა ავსტრიელი გერჰარდ ბერგერი, სენა მესამე იყო. ასე გრძელდებოდა 13 წრის განმავლობაში. მეთოთხმეტე წრიდან კი ბრაზილიელმა სპორტსმენმა ხელთ იგდო ლიდერობა და მიუხედავად იმისა, რომ საბურავების გამოცვლის დროს მას 23 წამით გაუსწრო მენსელმა, რბოლა მაინც თავის სასარგებლოდ დაამთავრდა.

ჩემპიონატის ლიდერს, ფრანგ ალენ პროსტს ამჯერად არ გაუმართლა. ავტომობილის უწესრიგობის გამო იგი იძულებული შეიქმნა 25-ე წრიდან რბოლა მიეტოვებინა.

ამრიგად, რბოლის საბოლოო შედეგი ასეთია: 1. აირტონ სენა (ბრაზილია, „მაკლარენ-ჰონდა“) — 9; 2. ნაიჯელ მენსელი (ინგლისი, „უილიამს-ჯადი“) — 6; 3. ალესანდრო ნანინი (იტალია, „ბენეტონ ფორდ კოსუორტი“) — 4; 4. მაურიციო გუგელმინი (ბრაზილია, „მარჩ-ჯადი“) — 3; 5. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ლოტუს-ჰონდა“) — 2; 6. დერეკ უორვიკი (ინგლისი, „ეროუზ-მეგატრონი“) —1.

როგორც ხედავთ, პრიზიორთა შორის გამოჩნდა 24 წლის ბრაზილიელი ავტომრბოლი, რომელმაც მეოთხე ადგილი დაიკავა, ხოლო იტალიელმა სანდრო ნანინიმ — მესამე.

54 ქულით კვლავ პირველ ადგილზეა ალენ პროსტი. მას 6 ქულით ჩამორჩება აირტონ სენა. 21 ქულით მესამე ადგილზეა გერჰარდ ბერგერი. 15 ქულა აქვს ნელსონ პიკეს, 13 — მიქელე ალბორეტოს. 11 ქულით მეექვსე ადგილზეა ტიერი ბუტსანი. დერეკ უორვიკს 9 ქულა აქვს. 6-6 ქულით მერვე-მეცხრე ადგილები უკავიათ ნაიჯელ მენსელსა და ალესანდრო ნანინის. 5 ქულა აქვს ჯონათან პალმერს, 3-3 ქულა — ანდრეა დეჩეზარისს და მაურიციო გუგელმინს. 2 ქულით მეცამეტე ადგილზეა ივან კაპელი. ბოლო ოთხ ადგილზე თითო ქულით არიან სატორუ ნაკაჰიმა, რიკარდო პატრეზე, ედი ჩივერი და პიერლუიჯი მარტინი.

კონსტრუქტორთა პირველობაზე 102 ქულით ლიდერობს „მაკლარენ-ჰონდა“. მეორე ადგილზეა „ფერარი“—34. შემდეგ მოდიან „ბენეტონ-ფორდ კოსუორტი“ — 17. „ლოტუს-ჰონდა“ — 16, „ეროუზ მეგატრონი“ — 10. „უილიამს-ჯადი“ — 7. მეშვიდე-მერვე ადგილები 5-5 ქულით უკავიათ „ტაირელ-ფორდ კოსუორტს“ და „მარჩ-ჯადს“. 3 ქულით მეცხრე ადგილზეა „რიალ-ფორდ კოსუორტი“. 1 ქულა აქვს „მინარდი-ფორდ კოსუორტს“.

ასპარეზობის ნახევარი ჯერ კიდევ წინაა, მაგრამ უკვე ცნობილი გახდა, რომ მომავალ წელს „ფერარის“ ნომერ პირველ ავტომრბოლად მიჩნეულია მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონი, ინგლისელი ნაიჯელ მენსელი, რომელიც იტალიელ მიქელე ალბორეტოს შეცვლის, ხოლო თვით მენსელის ნაცვლად „უილიამსის“ ავტომობილით იასპარეზებს ბელგიელი ტიერი ბუტსანი.

ჩემპიონატის მეცხრე ეტაპი გაიმართება 24 ივლისს, დასავლეთ გერმანიაში, ჰოკენჰაიმის ტრასაზე.

**დავით ჩუბინიძე.**

# ნავსი გატყდა

**სპორტული** ორიენტირება ჩვენში არც ისე პოპულარული სახეობაა. საკმარისია ითქვას, რომ ამ სახეობაში მხოლოდ რამდენიმე სპორტის ოსტატობის კანდიდატი გვყავს. აქამდე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს საკავშირო შეჯიბრებებში ათეულში მოხვედრაც კი საოცნებო ჰქონდათ. და აი, სულ ახლახან ნავსი გატყდა. ვილნიუსში ჩატარებულ საკავშირო თასის გათამაშების მეხუთე ეტაპზე („ლაბირინთი“-88) თბილისის 75-ე პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლემ ირმა ვარსემაშვილმა 15 წლის სპორტსმენთა შორის I ადგილი დაიკავა. ამასთან, ირმამ საქართველოს სპორტსმენთაგან პირველმა შეასრულა საკავშირო შეჯიბრებაში სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი.

მოვუსმინოთ გამარჯვებულის ერთ-ერთ მწვრთნელს გიორგი ხიდეშელს, რომელიც ირმას ლიტვაში ახლდა.

— ცოტა შორიდან დავიწყებ. ვილნიუსში ჩვენი გუნდი ფსკოვიდან ჩაფრინდა. აქ თასის გათამაშების IV ეტაპი გაიმართა. ჩვენი გუნდიდან საუკეთესო იყო 143-ე სკოლელი ნინო აფციაური, რომელმაც XIII ადგილი დაიკავა. ფსკოვში მაღალ შედეგებს არც ველოდით. ჩვენი სპორტსმენები, მთაგორიან ადგილს არიან შეჩვეული, იქ კი დისტანციის 60 პროცენტზე მეტი ჭაობიანი იყო. ორიენტირის ძებნაში ჩვენებს ზოგჯერ ჭაობში მკერდამდე უწევდათ ტოპვა. რაც შეეხება ვილნიუსთან ახლოს, სოფელ სკიარბალაისის მიდამოებში გამართულ საკავშირო თასის მეხუთე ეტაპს, სადაც 233 სპორტსმენი ცდიდა ძალას, ამ მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო. 4,4-კილომეტრიან დისტანციაზე მოსაძებნი იყო ექვსი საკონტროლო პუნქტი. ირმამ კარგად აუღო ალღო რელიეფს და სტარტიდანვე დაწინაურდა. საკონტროლო პუნქტების აღმოჩენას მან 32 წუთი და 26 წამი მოანდომა და მთელი 30 წამით გაუსწრო II ადგილზე გასულს. აღსანიშნავი იყო ისიც, რომ, მიუხედავად ადგილობრივი მწვრთნელების სკეპტიციზმისა, ჩვენი გუნდის თერთმეტივე მონაწილემ ტრასა ბოლომდე გაიარა, რაც მათ კარგ მომზადებაზე მეტყველებს. ალბათ მკითხველისთვის საინტერესო იქნება ისიც, რომ ფსკოვსა და ვილნიუსში შეჯიბრება სამეურნეო ანგარიშზე ჩატარდა. თითოეული მონაწილის გამოყვანისთვის ფსკოვში 12 მანეთი და 50 მანეთი უნდა გადაგვეხადა, ხოლო ვილნიუსში — 8 მანეთი.

**ლევან ჯაბაძე.**




•▲•

სურათზე: ირმა ვარსემაშვილი.

# რამდენად ლენდლის იმედზე?

**მსოფლიოს** საუკეთესო ჩოგბურთელის ივან ლენდლისთვის უიმბლდონის სიმაღლის დაძლევა წლეულსაც აუხდენელ ოცნებად დარჩა. არა და, ორჯერ, 1986 და 1987 წლებში იგი სულ ახლოს იყო მიზანთან, ფინალში თამაშობდა, მაგრამ დამარცხდა. 28 წლის ჩოგბურთელი წლევანდელი ნახევარფინალის შემდეგ ოდნავ ნირწამხდარი ჩანდა, თუმცა ლენდლი ბუნებით ოპტიმისტია და იმედს ბოლომდე არ კარგავს.

— ინგლისის გაზეთებში წავიკითხე, რომ უიმბლდონი ჩემთვის ამოუხსნელი ამოცანა იქნება მუდამ. გულახდილად უნდა გითხრათ, რომ ასეთ მოსაზრებას არ ვეთანხმები და ამას უსათუოდ დაგიმტკიცებთ.

საინტერესოა, რომ ლენდლს თავისი ხანგრძლივი სპორტული კარიერის მანძილზე 72 გამარჯვება აქვს მოპოვებული, აი, ინგლისის ბალახის კორტებზე კი პირველობა არასდროს მოუგია.

— როგორც ჩანს, ჩემი სტილი ბალახის კორტებისთვის გამოუსადეგარია,—ამბობს იგი,— აქ მთავარია ბადესთან დროზე და ხშირად გასვლა, მე კი, მოგეხსენებათ, უპირატესობას უკანა ხაზიდან თამაშს ვანიჭებ. ყველაზე მეტად ბალახიდან ასხლეტილი ბურთის მიღება მიჭირს. როგორი სწორიც არ უნდა იყოს უიმბლდონის საფარი, მას უსწორ-მასწორობანი მაინც აქვს. მაგრამ წელს ნახევარფინალში გაცილებით უკეთ ვთამაშობდი, ვიდრე წინა წლებში და კაცმა არ იცის რა მოხდებოდა ბეკერი რომ არა...

ლენდლმა მაღალი შეფასება მისცა დასავლეთგერმანელი ჩოგბურთელის თამაშს.

— იგი ბრწყინვალედ თამაშობს ბალახზე, ფლობს უძლიერეს დარტყმებს და რაც მთავარია, მეტოქის თითქმის აუღებელ მოწოდებას სწორედ ასეთივე დარტყმით პასუხობს. მსგავსი „გამანადგურებელი“ საპასუხო დარტყმა დღემდე მსოფლიოში არც ერთ ჩოგბურთელს არ ჰქონია.

თვითონ ბეკერი, სხვათა შორის, დარწმუნებულია, რომ ლენდლი ადრე თუ გვიან უიმბლდონის ტურნირს უსათუოდ მოიგებს.

— ბოლო ორი წელია, — თქვა დასავლეთგარმანელმა ჩოგბურთელმა, — ლენდლს აშკარად არ წყალობს ბედი. კეშმაც და მეც ლენდლის წინააღმდეგ ჩვენი საუკეთესო მატჩები ჩავატარეთ. მაგრამ ასე ხომ არ იქნება მუდამ?

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 21 ივლისი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; რიტმული ტანვარჯიში— **19.30 (2).**

**22 ივლისი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; ჩოგბურთი. დევისის თასი: სსრ კავშირი (ნაკრები) — ჰოლანდია (ნაკრები). გადაცემა იურმალადან — **21.15 (2)**; სატელევიზიო ნაცნობობა: ანატოლი კარპოვი — **22.50 (1)**; ფრენბურთი. ა. ჩინილინის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი (ქალები): გდრ (ნაკრები) — სსრ კავშირი (ნაკრები). გადაცემა ოდესიდან — **0.30 (2).**

**საქართველოს ტელევიზია. 22 ივლისი.** სსრ კავშირის თასის გათამაშება ფეხბურთში. მეთექვსმეტედფინალი. „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „დინამო“ (თბილისი). 21 ივლისის შეხვედრის მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი — **23.05.**

**საქართველოს რადიო. 21 ივლისი.** სსრ კავშირის თასის გათამაშება ფეხბურთში. მეთექვსმეტედფინალი. „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „დინამო“ (თბილისი). მეორე ტაიმი — **22.00.**

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05446